

**მსოფლიო იმპერიათა კავკასიური გაბიტი
და ერეკლე მეორე**
**THE CAUCASIAN GAMBIT
OF WORLD EMPIRES AND EREKLE II**

მამუკა ნაცვალაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Mamuka Natsvaladze

Sokhumi State University;
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The current study is the first attempt to examine the relations between Russia and Georgia within the context of international political processes of the second half of the 18th century, in particular, the Seven Years' War, the plan for the redistribution of Europe, and the “Greek Project”.

The global historical process of the second half of the 18th century is of special importance for the proper assessment of the history of Georgia. The Russian and Soviet historiography deliberately distorted the facts and events of the time leading to the improper assessment of the annexation of Georgia and the Caucasus. The European contacts of King Erekle II of Kartli-Kakheti were deliberately erased, and hence the Caucasus was declared a geostrategic space on Russian orbit and was artificially separated from the global historical processes. Therefore, a violent political act, the conquest of Georgia was disguised as an alliance corresponding to the idea of Christian common faith.

The article analyzes the reasons the members of the European system of international relations did not like the existence of a powerful state in the Caucasus (the Austrian Empire being an exception). The strategic foreign policy directions of the Austrian Empire were also analyzed, making it obvious once again that the only ally of Erekle II was the Emperor of Austria.

საკვანძო სიტყვები: ბერძნული პროექტი, ოსმალეთის იმპერია, ქართლ-კახეთის სამეფო, ერეკლე II, რუსეთის იმპერია.

Keywords: Greek Project, Ottoman Empire, Kingdom of Kartli-Kakheti, Erekle II, Russian Empire.

შესავალი

XVIII ს-ის II ნახევრის მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ფონზე განსაკუთრებულად მკაფიოდ ჩანს საქართველოს ისტორიის პროცესი, რომელმაც მოამზადა რუსეთის მხრიდან ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს სრული საერთაშორისო იზოლაციის, შემდეგ კი საქართველოსა და კავკასიის

ანექსიის წინაპირობები. ამ მტკივნეულ პროცესში ევროპამ საქართველოს ქმედითი დახმარება არ აღმოუჩინა და კავკასია რუსეთს შეატოვა.

ხშირად ისმის კითხვა – რატომ ვერ შეინარჩუნა ქართლ-კახეთის სამეფომ დამოუკიდებლობა? რატომ უნდა ყოფილიყო ქართული სამეფო-სამთავროების ყოფნა-არყოფნა დამოკიდებული რუსეთის ნებაზე? რა ვერ გააკეთა ერეკლე მეორემ იმისათვის, რომ ქვეყნის ბედი ასე არ განვითარებულიყო?

საცნაურია, რომ უამრავი ბრალდება ისმის, აქცენტები უპირველესად გადადის პიროვნულად ერეკლე მეორეზე, მეფეზე, რომელსაც მეფობა უბოძა ირანის მმართველმა ნადირ შაჰმა, რამდენადაც ირანის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მოდელისათვის აუცილებელი იყო ბუფერული, ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ოსმალეთის იმპერიისაგან თავდასხმის აღკვეთის კონკრეტული ფუნქცია ეკისრებოდა.

სწორედ ასეთ რეალობაში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სისტემური მოდელის არარსებობის პირობებში, იწყებს ერეკლე უპრეცედენტო მასშტაბის ბრძოლას ქვეყნის ძლიერებისთვის, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნდამენტის შემზადებისთვის, ახორციელებს უამრავ რეფორმას (თაბუაშვილი 2010; თაბუაშვილი 2020), რომელიც მიმართულია სახელმწიფოებრივი სისტემური მოდელის შექმნისა და განვითარებისათვის, აქვს გარკვეული შედეგი, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

იყო თუ არა რუსეთის ნება-სურვილზე დამოკიდებული საქართველოს დამოუკიდებლობა? ჩვენ ცალსახა პასუხი გვაქვს: ბუნებრივია, იყო, რამდენადაც ყველაფერს ძალა წყვეტდა – საქართველოს დამოუკიდებლობა რომ შეენარჩუნებინა, ამისთვის რუსეთს უნდა უარი ეთქვა საკუთარ იმპერიულ პოლიტიკაზე, რომლითაც საზრდოობდა არა მარტო მაშინ, XVIII ს-ში, არამედ საზრდოობს დღესაც.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია გავარკვიოთ, რა როლს ასრულებდნენ საერთაშორისო სისტემის სუბიექტები, დიდი სახელმწიფოები საქართველოს ანექსიის პროცესში, რამდენად იყო კავკასია მათი ინტერესის საგანი და რატომ ვერ ან არ განახორციელეს ქმედითი ღონისძიებები საქართველოს დასახმარებლად.

კვლევის სიახლე და ამოცანები

უახლესი კვლევებით მტკიცდება, რომ XVIII საუკუნის მსოფლიო ისტორიული პროცესის პროდუქტია ევროპის გადანაწილების გეგმა, რომელიც ცნობილია „ბერძნული პროექტის“ სახელით და რაც ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებას და მისი ტერიტორიების გადანაწილებას ისახავს მიზნად. ჩვენი ამოცანაა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციისა და ანექსიის თემა განვიხილოთ სწორედ ამ პერიოდის მსოფლიო ისტორიულ პროცესთან მიმართებით.¹

¹ წარმოდგენილი სტატია „ბერძნული პროექტის“ შესახებ ჩვენი სამეცნიერო მონოგრაფიის მცირე ფრაგმენტია. 2020-2021 წლებში ქართულ და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში გამოვაქვეყნეთ ჩვენი კვლევის სხვა ფრაგმენტები, კერძოდ: 1. Georgia and the Secret Project for Redistribution Europe 70-80s of the 18th century, LXXVI International Scientific Review of the Problems and Prospects of Modern Science and Education, (Boston. USA. - 23 December, 2020) p 38-46; 2. Greek Project – Clue to the History of Georgia 50-90-ies of XVIII

წინამდებარე კვლევა პირველი ცდაა, საქართველოს ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი შვევისწავლოთ ბერძნულ პროექტთან მიმართებით, რისი პრეცედენტიც არც რუსულ, არც საბჭოურ და არც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიოგრაფიაში აქამდე არ ყოფილა.

სადავო არავისთვის არაა, რომ მსოფლიო ისტორიის პროცესები ყველა დროის მანძილზე ადეკვატურად აისახებოდა კავკასიაზე. რუსული

Century. XXIII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society. Vol.1, November 25, 2020, Warsaw, Poland. pp 38-43; **3.** Sensational Unknown Facts from Georgian Diplomacy of 90-ies of XVIII Century, International Journal of Innovative Technologies in Social Science. No 7(28) (2020) p.77-85; **4.** Explanation of one conceptual subtext of a “Greek Project”, XI International Conference. Science and Practice: a new level of integration in the modern world, Scope Academic House, September, 10 - November, 30, 2020, Sheffield, UK pp 164-168; **5.** Capuchin Monks and the Russian Agents in Georgia in the 80s of the 18th Century, Bridge to science: research works. Conference Proceedings. B&M Publishing, September, 10 - December, 15, 2020, San Francisco, California, USA. p 154-159; **6.** Unknown backstages of Georgian Diplomacy in the 80-ies of the XVIII Century, European Journal of Humanities and Educational Advancements (EJHEA) Vol. 2 No. 1 (2021), pp 84-91; **7.** Russian Empire and Georgian-Austrian Diplomatic Relations in the 80s of the XVIII century. «Humanities and Social Sciences in Europe: Achievements and Perspectives». Proceedings of the 7th International symposium (January 25, 2020). Premier Publishing s.r.o. Vienna. 2021. pp 12-26; **8.** Unknown anatomy of Georgian diplomatic assassinations. Scientific Collection «InterConf», (42): 1st International Scientific and Practical Conference «Theory and Practice of Science: Key Aspects» (February 19-20, 2021) at Rome, Italy. pp. 623-645; **9.** “Persian Project” – one part Erekle’s safe Caucasus model, Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the I International Scientific and Practical Conference (Vol. 4), Cambridge, March 19, 2021. Cambridge-Vinnytsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2021. pp. 82-91; **10.** Georgian-Austrian political variations of the 80-ies of the XVIII century. Scientific Collection «InterConf», (50): with the Proceedings of the 8th International Scientific and Practical Conference «Scientific Horizon in The Context of Social Crises» (April 11-12, 2021). Tokyo, Japan: Otsuki Press, 2021. p 351-363; **11.** Paradigms for the State Security Model of Erekle II. Scientific Collection «InterConf», (53): with the Proceedings of the 7th International Scientific and Practical Conference «International Forum: Problems and Scientific Solutions» (April 25-26, 2021). Melbourne, Australia: CSIRO Publishing House, 2021. P. 322-342; **12.** Natsvaladze M. The Caucasian Gambit of World Emperes and Erekle II, Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the II International Scientific and Practical Conference (Vol. 2), Oxford, May 28, 2021. Oxford-Vinnytsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2021. pp.161-176; **13.** Natsvaladze M. The seven years’ war and Caucasian outline of the Greek Project. Collection de papiers scientifiques «ΛΟΓΟΣ» avec des matériaux de la II conférence scientifique et pratique internationale (Vol. 2), Paris, 1er octobre 2021. Paris-Vinnytsia: La Fedeltà & Plateforme scientifique européenne, 2021. p 71-86; **14.** Stalin against Engels - For the Historiography of the Greek Project. Education and science of today: intersectoral issues and development of sciences: Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the II International Scientific and Practical Conference (Vol. 2), Cambridge, October 29, 2021. Cambridge-Vinnytsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2021. p 110-124; **15.** Русская драматургия убийств европейских послов Ираклия II. Научный журнал № 4(59), Москва, 2021. с29-41; **16.** სპეცსამსახურების დაპირისპირების უცნობი დეტალები ერეკლე მეორის სამეფო კარზე, 2020 წლის 27-29 ნოემბერი, ტექნიკური უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-მემკვიდრეობითი კონფერენცია, ნაწილი I, თბილისი-თელავი, 2020, გვ 172-183; **17.** 1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები, 15th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE აბრეშუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია, 09-10, 2020, Tbilisi, Georgia, გვ. 234-244; **18.** „ბერძნული პროექტის“ ქართული პარადიგმები, ქართველური მემკვიდრეობა. XXIV, ქუთაისი, 2020, გვ. 124-139; **19.** გეორგიევსკის ტრაქტატის ქართულ-ავსტრიული უცნობი პრელუდიები, სამეცნიერო შრომების კრებული, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი №1 (33), თბილისი, 2020, გვ. 31-43.

და საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის რატომღაც ეს ლოგიკა არ მოქმედებს შვიდწლიან ომთან მიმართებით, არადა, ეს ის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელმაც ფაქტობრივად თავდაყირა დააყენა მსოფლიო სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული პოლიტიკა, პოლიტიკური ლანდშაფტი და კონფიგურაცია და რომელიც ჩერჩილის მიერ აღიარებულია პირველ მსოფლიო ომად (Ливен 2012: 17). ეს სწორედ ის ეპოქაა, როცა ფაქტობრივად მსოფლიო სხვა რელსებზე გადაეწყო. შვიდწლიანმა ომმა გარდამტეხი როლი შეასრულა XVIII ს-ის 60-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის მსოფლიო ისტორიული პროცესის განსაზღვრისას. მან კარდინალურად შეცვალა იმ პერიოდის ევროპული დიპლომატიური კონფიგურაცია და ფრანგული დომინანტი ინგლისურით ჩაანაცვლა. ამ მოდელის დარღვევისა და შეცვლის წარუმატებელი მცდელობა იყო როგორც პირველი, ასევე მეორე მსოფლიო ომი.

მიუხედავად ამისა, შვიდწლიანი ომი და მასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი კონცეფტუალური პროცესი XVIII ს-ის 50-90-იანი წლების საქართველოს ისტორიის კვლევისას დღემდე იგნორირებულია.

ჩვენ მიერ არჩეული საკითხის კვლევის მეთოდოლოგია და სტრატეგია იმ მარტივი პოსტულატიდან ამოდის, რომ კავკასია მსოფლიოს საერთაშორისო სისტემის ორგანული ნაწილია. ამ პოსტულატს უნდა დაეკვემდებაროს აღნიშნული პერიოდის ისტორიული პროცესების კვლევა. სწორედ ამ პრიზმიდან ნათლად იკვეთება, რომ შვიდწლიანმა ომმა განსაზღვრა საქართველოს ისტორიის ბედი, აქ ჩაეყარა ძალიან ბევრ მნიშვნელოვან პროცესსაფუძველი, რამაც შემოატრიალა რუსეთის საგარეო სტრატეგიული ვექტორი ევროპიდან თურქეთისაკენ. საგარეო ვექტორის ასეთმა ცვლილებამ ფაქტობრივად განსაზღვრა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის სიმძაფრე და აგრესიის მრავალწახნაგოვანი ხასიათი.

ეს პრიზმა, რომელიც აშიშვლებდა რუსეთის საიმპერატორო კარის აგრესიულ ხასიათსა და ექსპანსიურ პოლიტიკას, როგორც საბჭოური ხანის, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში იმდენად მიუღებელი იყო, რომ შვიდწლიან ომთან მიმართებით საქართველოს ისტორიის კვლევას ტაბუ დაედო. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნის მესამედი გავიდა მას შემდეგ, რაც კონიუნქტურული და იდეოლოგიური წნეხი მოიხსნა, ეს თემა არათუ არ ყოფილა განხილული მონოგრაფიულად ან სტატიის დონეზე, არამედ ერთი ფრაზაც კი არ დაცდენია არავის.²

რუსული და საბჭოური ხანის ისტორიოგრაფია კავკასიასთან მიმართებით რუსეთის საგარეო პოლიტიკას იხილავს ერთგვარად შეზღუდული პრიზმიდან – მთავარი მოქმედი სახელმწიფოები არიან რუსეთი, ოსმალეთი და ირანი. ამ სამკუთხედს არ სცდება ისტორიკოსთა განსჯისა და შეფასებების არე.

² ამ საკითხისადმი საბჭოური ხანის ისტორიოგრაფიის უაღრესად მკაცრი კონიუნქტურული დამოკიდებულების მიზეზები განხილული გვაქვს სტატიაში: Stalin against Engels - For the Historiography of the Greek Project. Education and science of today: intersectoral issues and development of sciences: Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the II International Scientific and Practical Conference (Vol. 2), Cambridge, October 29, 2021. Cambridge-Vinnytsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2021. pp. 110-124

კვლევის შედეგები

კავკასია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო ისტორიის საწყისი ეტაპიდანვე გახდა მსოფლიოს სხვადასხვა იმპერიების სამიზნე. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი საზღვაო გზების აღმოჩენამდე ეს რეგიონი ითვლებოდა უმნიშვნელოვანეს გზასაყარად, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე.

ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ პოსტმაკედონური სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად აქ შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის საერთაშორისო ფუნქციაც გახლდათ კავკასიის უღელტეხილების კონტროლი და სამხრეთით მდებარე მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზების დაცვა კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ტომებისგან.

ერთი მხრივ, კავკასიის უღელტეხილების კონტროლი და, მეორე მხრივ, ზღვაზე გასასვლელი იყო ის სტრატეგიული ბერკეტი, რომლის გამოყენების შემთხვევაში ქართლის სამეფო წამყვან ადგილს იკავებდა მსოფლიო პოლიტიკის საერთაშორისო სისტემაში.

საგულისხმოა, რომ ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა მსოფლიო იმპერიათა ეს დამოკიდებულება. მას შემდეგ, რაც სწორედ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ქართლის მეფე ფარსმან ქველმა შეძლო რომის იმპერიის ეკონომიკური პარალიზების მეშვეობით (ფარსმანმა გახსნა დარიალის კარი და მთიელი ტომები შეუსია რომის კონტროლის ქვეშ მყოფ სავაჭრო მაგისტრალებს), იმ პერიოდის დიდ სახელმწიფოებს ცალსახად აჩვენა, რომ კავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს არსებობა ეწინააღმდეგებოდა მათ პოლიტიკურ ინტერესებს. ცალსახა იყო, რომ სახელმწიფო, რომელიც ერთდროულად ფლობდა კავკასიურ უღელტეხილებს და ზღვაზე გასასვლელს, რაც მას განვითარების საკმაოდ დიდ შესაძლებლობას აძლევდა, მსოფლიო იმპერიებისათვის უკვე არასასურველი მოვლენა გახლდათ.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება კავკასიური კოზირის განეიტრალების მცდელობა მსოფლიო იმპერიათა მხრიდან. ამისთვის იყენებენ ყველა ხერხს, მათ შორის პოლიტიკურ და კონფესიურ ბერკეტებს.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან მსოფლიო იმპერიებს არათუ აღარ აწყობდათ, ხელს უშლიდათ კავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს არსებობა, შესაბამისად პერმანენტულად დაიწყო სხვადასხვა იმპერიის მხრიდან კონკრეტული პოლიტიკური, კულტურული, კონფესიური თუ ეკონომიური ღონისძიებების გატარება, რაც ქმნიდა საკმაოდ მნიშვნელოვან წანამდღვარს სხვადასხვა მომიჯნავე სახელმწიფოების მიერ კავკასიის ტერიტორიის გადანაწილებისათვის.

1453 წლის კონსტანტინოპოლის დაცემამ მთლიანად შეცვალა პოლიტიკური ვითარება. ოსმალების მიერ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გზების გადაკეტვამ მსოფლიო აიძულა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სახმელეთო გზების ალტერნატივა მოეძებნა. მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო გზების მეშვეობით შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კავშირის აღდგენა, კავკასია მაინც ინარჩუნებდა უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ფუნქციას.

მსოფლიოს სხვადასხვა იმპერიათა მცდელობამ, გაენეიტრალეზინა კავკასიური კოზირი, შედეგი გამოიღო. ამით ყველაზე მეტად ირანმა და ოსმალეთმა ისარგებლა – ისინი 1555 წელს ამასიის ზავით კავკასიის განაწილების მოდელზე შეთანხმდნენ (შველიძე 2014: 23-36).

ასე შეიქმნა ამასიის საერთაშორისო სისტემა, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექცა. ასეთ ფონზე ნებისმიერი მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი კავკასიაში მხოლოდ ბუტაფორიაა, რომელსაც ირანი და ოსმალეთი გადასახადების აკრეფის მიზნით და სხვა მათთვის სასურველი ღონისძიებების ორგანიზებისათვის ინარჩუნებენ. საქართველოში მაჰმადიანური ქვეყნების ხელდასხმის გარეშე არაფერი ხდება. ეს ფაქტობრივად მაჰმადიანურ სამყაროსთან ქრისტიანული კავკასიის პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციის მექანიზმია.

თავის მხრივ, ირანი და ოსმალეთი ტრადიციულად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ერთ-ერთი მთავარი არეალი, რაც დაპირისპირების მიზეზია, ისევ კავკასიაა. მსოფლიოს სამ კონტინენტზე გადაჭიმულ ოსმალეთს ამასიის სისტემა აღარ აწყობს და იწყებს ბრძოლას ერთიანი კავკასიისთვის, რაც რამდენჯერმე წარმატებით სრულდება.

ამასიის ზავი 1590 წლის შემდეგ, 1723 წელსაც დაირღვა ოსმალეთის სასარგებლოდ; ოტომანთა პორტამ ფაქტობრივად მთლიანი კავკასია ჩაიგდო ხელთ, რის შემდეგაც ირანს რეალური საფრთხე დაემუქრა. ოსმალეთის დაპყრობითი ამბიციური მიზნები როგორც მაჰმადიანურ ირანს, ისე ქრისტიანულ ევროპას სწვდებოდა (დუმბაძე 1973: 603-615).

1735 წელს ირანელებმა მოახერხეს ამასიის სისტემის სტატუსკვოს აღდგენა და აღმოსავლეთ საქართველოდან ოსმალები გააძევეს. სწორედ ამ პირობებში ისახება ირანელთა სტრატეგიული კონცეფტუალური პოზიცია აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ – ნადერ შაჰის ხელდასხმით აღმოსავლეთ საქართველოში ორი ქრისტიანული სახელმწიფო – ქართლი და კახეთი უნდა ქცეულიყო ირანის სახელმწიფოს ბუფერულ ზონად და უსაფრთხოების გარანტიად.

ნადერ შაჰი, ირანის მმართველი, საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნით თანახმაა საკმაოდ დიდ დათმობაზე წავიდეს და აღმოსავლეთ საქართველოში ქართლისა და კახეთის ქრისტიანული სამეფოების აღდგენის ნება მისცეს ბაგრატიონებს, რათა, ჯერ ერთი, წაახალისოს ქართველები, მეორეც, ამით მნიშვნელოვანი ბარიერი შეუქმნას ოსმალეთის უძლიერეს იმპერიას საკუთარი სახელმწიფოს თავდაცვის პრევენციის მიზნით.

ის ფაქტი, რომ ოსმალები 30-იან წლებში ბატონობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში და ფაქტობრივად ემეზობლებიან ირანს, ამ უკანასკნელის სამეფო კარზე დამატებითი მოტივაციაა იმისთვის, რომ თავდაცვის უპრეცედენტო ზომები მიიღონ და იზრუნონ, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს კეთილგანწყობაზე, მეორე მხრივ, მის გაძლიერებაზე, თანაც ისე, რომ ამ ორმა ფაქტორმა ხელი არ უნდა შეუშალოს ირანს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს აღმოსავლეთ საქართველოში.

სწორედ ირანის სამეფო კარის თანხმობით ერეკლე მეორე და მამამისი თეიმურაზ მეორე სამეფო გვირგვინს იდგამენ ქრისტიანული წესით. ეს

არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, რამდენადაც 1632 წლის შემდეგ 112 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანი ხელისუფალი არ ჰყოლია.

ქართლისა და კახეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა აშკარად დაკავშირებული იყო ირანის მმართველის სტრატეგიულ ინტერესებთან. ამ შემთხვევაში ირანის მმართველისა და ქართლისა და კახეთის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, რაც ცალსახად იმის დასტური იყო, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოების დამოუკიდებლობა საგარეო ფაქტორზე, კონკრეტულად ირანის მმართველების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული და მას სისტემური საფუძველი არ გააჩნდა.

ირანის შაჰ ნადერის გადმოსახედიდან ეს დროებით დათმობად მოიაზრება, ამ ნაბიჯს ის ირანის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე დგამს, ბუნებრივია, მისთვის ნაკლებად საინტერესოა სხვა რაკურსით ქართლი და კახეთი. ეს ის დროებითი ნაბიჯია, როცა ირანმა ძალები უნდა აღიდგინოს და შემდეგ საკუთარი სურვილისამებრ კვლავ მიხედოს ქართლისა და კახეთის ირანულ სამყაროსთან ინტეგრაციის საქმეს.

ბუნებრივია, ასეთი დათმობა გარკვეულწოდ დიდ რისკს შეიცავდა თავად ირანისათვის, თუმცა ოსმალთა ხელახლა მობრუნება უფრო დიდ საშიშროებად ესახებოდა ირანის მბრძანებელს, შესაბამისად, მან ქართული სამეფოების მხრიდან ნაკლები რისკი არჩია ოსმალთა მუდმივად გარანტირებულ აგრესიას.

მრავალრიცხოვანი ქართული თუ უცხოური წყაროებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების ანალიზის ფონზე აშკარად გამოჩნდა, რომ სპარსეთის შაჰის ნებით მეფედ კურთხეული ერეკლესა და თეიმურაზის პოზიციები არ იყო მყარი, რამდენადაც არ არსებობდა საერთაშორისო სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების სისტემური თავდაცვის მექანიზმი. შესაბამისად, იწყება მამა-შვილის ფიქრი და ზრუნვა იმაზე, როგორ შექმნან ის სისტემურ მოდელი, რომელიც მათი სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტი გახდება.

ბუნებრივია, ისინი აღნიშნულ პოლიტიკურ რეალობას საკმაოდ დეტალურად აანალიზებენ. სწორედ ამიტომ თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორისათვის უმნიშვნელოვანესი მოტივაცია გახლდათ შემუშავებულიყო სახელმწიფოს საერთაშორისო თავდაცვის ისეთი მოდელი, რომელიც იქნებოდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ცალსახა პრევენცია, რაც აბსოლუტურად გამორიცხავდა რომელიმე უცხო ქვეყნის ხელისუფლის ნებაზე ყოფილიყო დამოკიდებული ქართული სახელმწიფოს არსებობა.

XVIII ს-ის 50-იანი წლებიდან ბაგრატიონთა სამეფო კარზე აქტიურად იწყებენ ფიქრს უსაფრთხო კავკასიის მოდელირებაზე. ქართლისა და კახეთის მეფეები თეიმურაზი და ერეკლე კარგად აცნობიერებენ, რომ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბის მცირე სახელმწიფო ვერ იქნება დაცული უცხო ქვეყნების შემოსევებისგან, შესაბამისად, საკმაოდ მიზერულია იმის შანსი, რომ ამ მცირე გეოგრაფიულ არეალში სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნმა შეძლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ამიტომაც აქტიურად იწყებენ ფიქრს კავკასიის მასშტაბით ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის მოწყობისათვის.

თუმცა, მანამდე არსებული სამეფოების ეკონომიკური საფუძვლები უნდა ჩამოყალიბებულიყო. არც ამ მხრივ იყო სახარბიელო სიტუაცია. არც ქართლს და არც კახეთს არ ჰქონდა თავისი ეკონომიკა, მორღვეული იყო საგადასახადო და საბაჟო სისტემა, არ იყო აღრიცხვა, რაც სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებებისთვის იყო აუცილებელი, ჯარი ენთუზიაზმის ხარჯზე არსებობდა და საკმაოდ შორს იყო იმდროინდელი მსოფლიოს სტანდარტებისგან.

ერეკლე მეორის ეკონომიკური რეფორმების ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მცირე ტერიტორიის მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული სხვა, უფრო დიდი სახელმწიფოს მხრიდან პრაქტიკულად განწირულია დაპყრობისათვის. დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთი გზა მცირე ტერიტორიის მქონე სახელმწიფოების გამსხვილება და უფრო დიდ სახელმწიფოდ ფორმირების პროცესი გახლდათ. ერეკლესა და თეიმურაზის შემთხვევაში იდეალური მოდელი ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ფორმირების ვარიანტია.

სწორედ ამ პრიზმიდან ჩანს საკმაოდ ნათლად, როგორ უნდა გადაიჩინნენ და შეინარჩუნონ სახელმწიფოებრივი სტატუსი მცირე პოლიტიკურმა ერთეულებმა – ქართლისა და კახეთის სამეფოებმა. ამ რეალობიდან იკვეთება ერეკლე მეორისა და თეიმურაზ მეორის საგარეო პოლიტიკის ორი უმთავრესი პარადიგმა, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარი გარანტი იქნება:

1. ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა

2. ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარება და მისი ჩართვა საერთაშორისო სისტემაში სრულფასოვანი წევრის სტატუსით. საგულისხმოა, რომ ორივე პარადიგმას აქვს საკმაოდ რეალური საფუძველი და მისი განხორციელებაც რეალურია. სიცხადისათვის განვიხილოთ ეს პარადიგმები.

ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ტენდენციები იკვეთება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან, რასაც მოწმობს შემდეგი ნიუანსები:

1. საკმაოდ მარტივია ქართლისა და კახეთის სახელმწიფოების გაერთიანება, რამდენადაც ორივე სამეფოს მამა-შვილი მართავს და ქართლის სამეფო მემკვიდრეობით მომავალში ერეკლე მეორის ხელში უნდა გადავიდეს, რაც კიდევ განხორციელდა 1762 წელს თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ. ამ წელს გაერთიანდა ქართლისა და კახეთის სამეფო.

2. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარს აერთიანებს საერთაშორისო პოლიტიკური სტრატეგიული ხედვა. ორივე პოლიტიკური სუბიექტი იდენტურად აფასებს საგარეო საფრთხეებსა და რისკებს, რაც ერთიანი თავდაცვის სისტემაში ავტონომიის ფორმით ამ ორი სამეფოს შესვლის წინაპირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა სხვა შტო მართავს და ის ფაქტობრივად ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშაა და არსებული საერთაშორისო მოდელი, ამასიის სისტემა ფაქტობრივად გამორიცხავს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას, ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის საგარეო პოლიტიკური ხედვები

იდენტურია. რაც შეეხება ერეკლესა და სოლომონის დაპირისპირებას, მათი უთანხმოება უფრო პირადულია და საგარეო პოლიტიკურ ხედვებზე არ აისახება, რაც კარგად გამოჩნდა 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომისას, როდესაც ისინი მოკავშირეები არიან და საკმაოდ სინქრონიულად, ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ (რეხვიაშვილი 1982: 104-168), რაც დასტურია იმისა, რომ არსებობს საერთო ქართული საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ერთიანი ქართული საგარეო პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია.

3. კავკასიის არაქართულ ნაწილზე, მაჰმადიანურ სახანოებზე, სწორედ XVIII ს-ის 50-იანი წლებიდან იკვეთება ერეკლესა და თეიმურაზის გავლენა. ამას განაპირობებს ირანის სახელმწიფოს სისუსტე და შიდაარეულობა, რის გამოც ირანის ტახტის მაძიებელნი განსაკუთრებით ესწრაფვიან ქართველ მეფეებთან მოკავშირეობას და თავიანთი პოზიციების განმტკიცებას მათი დახმარებით. შესაბამისად, ირანი ხელს ვერ შეუშლის კავკასიაში არსებულ მაჰმადიანურ სახანოებს რეალურად იფიქრონ ერთიანი კავკასიური თავდაცვის სისტემაზე და უსაფრთხოების ასეთი ავტონომიური მოდელი აირჩიონ სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად.

ირანის სისუსტე კარგად ჩანს იმდროინდელი პოლიტიკური პროცესებიდან. 1762 წელს ერეკლემ ტყვედ ჩაიგდო აზატ ხანი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ირანის შაჰის ტახტზე. მანამდე ის ყირზულახის ბრძოლაში დაამარცხა. აზატ ხანი ერეკლემ გაუგზავნა ირანის მმართველს ქერიმ ხანს. ამგვარი ჟესტი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ირანთან ერეკლეს ურთიერთობა დაეღაგებინა.

თავის მხრივ, ქერიმ ხანმა აღიარა ერეკლე ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელ მმართველად, ასევე, ცნო ერევნისა და განჯის სახანოებზე მისი უზენაესობა.

ამგვარი პოლიტიკური სტაბილურობა შენარჩუნდა ქერიმ ხანის გარდაცვალებამდე, XVIII ს-ის 80-იან წლებამდე. ქერიმ ხანის გარდაცვალებას ირანში მორიგი შინაარეულობა მოჰყვა, შესაბამისად, ქართლ-კახეთზე ლაშქრობისათვის არანაირი წინაპირობა არ არსებობდა. მთავარი აქცენტი ტახტის მაძიებელთათვის სწორედ შიდაპოლიტიკურ სირთულეებში გარკვევა და ირანის საშინაო არენაზე უპირატესობის მოპოვება გახლდათ. შესაბამისად, არ იყო არც ერთი ტახტის მაძიებელი, რომელიც ქართლ-კახეთზე ლაშქრობისათვის მოიცლიდა, პირიქით, ყველა ცდილობდა ერეკლეს მიმხრობას და შიდაპოლიტიკურ ქაოსში უპირატესობის ასე მოპოვებას.

ერთადერთი სახანო, რომელთანაც ერეკლე მეორეს დამაბული ურთიერთობა ჰქონდა, დაღესტანია, რომელიც ოსმალეთის იმპერიის სატელიტი იყო. სამ კონტინენტზე გადაჭიმული იმპერია დაღესტნის ხელშეწყობით ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოში პოზიციების დაბრუნებას.

4. კავკასიური სახელმწიფოს განმტკიცების პროცესს ემსახურება ერეკლეს იდეა – აღედგინა სომხეთის სამეფო საკუთარი პროტექტორატით (ნაცვალაძე 1984: 240-242), რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სომეხი მოღვაწენი – იოსებ ემინი და შაჰამირ შაჰამირიანი. ასევე, დღის წესრიგში

დადგა ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი უთანხმოების მოგვარება (მაისურაძე 1992: 270-283).

ამრიგად, ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობი ზემოაღნიშნული ოთხი არგუმენტის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ იკვეთება ის სახელმწიფოებრივი მოდელი, რომელიც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს არსებობდა, რაც ფედერალურ საწყისებზე იყო დაფუძნებული და ჰქონდა ერთიანი საგარეო პოლიტიკა, რომელსაც განაგებდა ბაგრატიონთა სამეფო კარი. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, აქ მოქმედებდა სრული ავტონომია – ცენტრალური ხელისუფლების ჩაურევლობისა და საგარეო საფრთხეებისგან დაცვის ვალდებულება.

მეორე, უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რის წინაშეც ერეკლე მეორე აღმოჩნდა, ქართლ-კახეთის სამეფოს საფუძველზე ჩამოყალიბებული ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს საერთაშორისო სუბიექტად აღიარება გახლდათ.

ეს იყო ყველაზე რთული პრობლემა, რომელსაც იოლად არ უყურებდნენ დიდი სახელმწიფოები, თუმცა საერთაშორისო სიტუაციამ ის დიპლომატიური კონფიგურაცია მოქარგა, ყველაფერი ერეკლეს სასარგებლოდ რომ შეიძლებოდა მოგვარებულიყო.

1763 წელს შვიდწლიანი ომის უჩვეულო დასასრულმა, რუსების მიერ ბერლინის დატოვებამ, ევროპის დაპყრობაზე ხელის აღებამ და საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილებამ სამხრეთის მიმართულებით, რომლის მთავარი სამიზნე ოსმალეთის იმპერია იყო, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრში კვლავ კავკასია დააყენა.³

ევროპის რუხი კარდინალის – პრუსიის ხელმწიფის ფრიდრიხ მეორის ინიციატივით კვლავ აქტუალური ხდება ანტიოსმალური კამპანია, რასაც ამ ეტაპზე ფაქტობრივად ევროპის ყველა დიდი სახელმწიფო უჭერს მხარს. საგულისხმოა ისიც, რომ ნებისმიერი ანტიოსმალური კამპანია საქართველოს ინტერესებში შედის, რამდენადაც სწორედ ოსმალეთის იმპერიამ შექმნა ის სისტემური მოდელი, რომლითაც კავკასიის დაპყრობა თითქმის შეუქცევად პროცესად აქცია.

ამ ფონზე ისახება ბერძნული პროექტი, ევროპის გადანაწილების რუსულ-ავსტრიული გეგმა, რაც უპირველესად ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებას ითვალისწინებს. ეს პროექტი საბოლოო სახეს 1782 წელს იღებს (Русский архив 1880: 281-291; Arneth 1869: 143-157; Русская старина 1892: 1-4).

³ აღნიშნულ საკითხს ვრცლად ვიხილავთ ჩვენს სტატიაში: The seven years' war and Caucasian outline of the Greack Project. Collection de papiers scientifiques «ΑΟΓΟΣ» avec des matériaux de la II conférence scientifique et pratique internationale (Vol. 2), Paris, 1er octobre 2021. Paris-Vinnytsia: La Fedeltà & Plateforme scientifique européenne, 2021, p .71-86; გამოვაქვეყნეთ ამ სტატიის ქართული, განსხვავებული ვერსიაც - შვიდწლიანი ომისა და ბერძნული პროექტის კავკასიური სეგმენტის ურთიერთმიმართებისათვის. 16th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE. Conference Proceedings. აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია, October 14-15, 2021 Tbilisi, Georgia, გვ. 244-263

საგულისხმოა, რომ ეს გადანაწილება ტერიტორიების უშუალო მიერთებას არ ითვალისწინებს (Зорин 2001: 35-37). უნდა აღდგეს ბიზანტიის იმპერია, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ეკატერინას შვილიშვილი კონსტანტინე (მას დაბადებისთანავე გამიზნულად შეურჩიეს სახელი და ზრდიან ბერძნულად) (Гриффитс 2013: 352-360), ასევე უნდა შეიქმნას დაკიის ბუფერული სამეფო, რომელიც გააერთიანებს მოლდოვეთს, ვალახეთსა და ბესარაბიას (Маркова 1986: 5-11).

საგულისხმოა, რომ არც ეკატერინე II-ისა და იოზეფ II-ის მიმოწერაში, არც რუსეთის სახელმწიფო კანცლერის ბეზბოროდკოს მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტში (Стегний 2002:109-118), რომლითაც ფაქტობრივად ჩვენამდე იქნა მოღწეული ბერძნული პროექტი, უშუალოდ საქართველოზე არაფერია ნათქვამი.

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ საკითხი – შეიძლებოდა თუ არა ევროპას ოსმალეთის პრობლემა გადაეჭრა ბერძნული პროექტის მეშვეობით საქართველოს გარეშე. კვლევის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ, ერთი მხრივ, გეოგრაფიული ფაქტორიდან, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური ლანდშაფტიდან გამომდინარე, კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ ბერძნული პროექტის წარმატებით განხორციელება კავკასიისა და საქართველოს გვერდის ავლით, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომლითაც პროექტის სამივე მოქმედი სუბიექტი საქართველოსთან მჭიდროდაა დაკავშირებული, კერძოდ: 1. ოსმალეთი ფლობს საქართველოს ტერიტორიის ნახევარს; 2. რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი, დეკლარირებული მიზანია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების, ასევე, კონსტანტინოპოლის დაპყრობა, რასაც, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კავკასიისა და საქართველოს დაპყრობის გარეშე ვერ აღასრულებს; 3. ავსტრია, რომლის საიმპერატორო კარზეც პეტერბურგთან ერთად შემუშავდა ეს პროექტი, არის საქართველოს ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირე ევროპაში.

თავის მხრივ, ბერძნული პროექტი ერეკლესათვის არის უნიკალური შანსი ევროპამ აღიაროს კავკასია საერთაშორისო პოლიტიკურ სუბიექტად, მით უფრო, რომ ერეკლეს გავლენა კავკასიაში იზრდება, მას ემორჩილებიან მაჰმადიანური სახანოები, დღის წესრიგშია ალბანურ-სომხური სახელმწიფოს აღდგენის პროექტი ერეკლეს პროტექტორატით, შესაბამისად, ყალიბდება ის კონცეპტუალური პოლიტიკური ლანდშაფტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ნაცადი იყო XII საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნის ოციან წლებამდე და რაც კავკასიაში მცხოვრები ყველა ერისა თუ კონფესიის წარმომადგენლისათვის თავდაცვის საიმედო პრევენციული სისტემური მოდელი გახლდათ.

ერეკლესეული უსაფრთხო კავკასიის კონცეპტუალური მოდელი ცალსახად ემთხვევა ოსმალეთის განეიტრალების ევროპული კონცეფციას – ბერძნულ პროექტს. ერეკლეს, როგორც გამორჩეულ პერსონას, ევროპა მოიაზრებს მოკავშირედ, რაც გარკვეულ შანსს აძლევს ერეკლეს მიაღწიოს დასახულ მიზანს, კერძოდ, ერთიანი კავკასიური სახელმწიფო გახდეს საერთაშორისო სისტემის სუბიექტი, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ ამ სისტემის სხვა სუბიექტები, დიდი სახელმწიფოები: საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, ირანი, ოსმალეთი.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ, ამ თვალაზრისით რამდენად რეალური შანსი აქვს ერეკლეს, საჭიროა იმ წინააღმდეგობების გააზრება და ანალიზი, რაც ხელს უშლის მისი მიზნის რეალიზებას. აქ გვხვდება ორი წინააღმდეგობა:

ა) მიუხედავად ევროპაში ერეკლეს უაღრესად დიდი პოპულარობისა, მას მეფედ არავინ სცნობს. ის ყველა სახელმწიფოსთვის არის პრინცი.

არსებული დოკუმენტური მასალის (კალანდია 2017; კალანდია 2020(ა); კალანდია 2020ბ; შველიძე 2005; ტაბალუა 1979; ტაბალუა 2000) საფუძველზე ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ ევროპისათვის ერეკლე პრინცია და არა მეფე. ანალოგიური სიტუაციაა რუსეთშიც მისი წინაპრების მიმართ – მეფედ არ იხსენიებს რუსეთი არც ერეკლეს მამას თეიმურაზს, რის გამოც ის კონკრეტული პროტესტით მიმართავს სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს (მაჭარაძე 1968: 122). მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა რუსეთში ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეც (Пайчадзе 1965: 76).

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს საკმაოდ დიდ როლს აკისრებენ ევროპის დიდი სახელმწიფოები (ინგლისი, ავსტრია, რუსეთი, საფრანგეთი), ერთდებთან პატარა კახის მეფედ მოხსენიებას. არადა ერეკლე მეორე საკმაოდ პოპულარულია მთელს ევროპაში, მის შესახებ წერს ბრიტანული პრესა (კალანდია 2017; კალანდია 2020(ა), გერმანული საზოგადოება სახავს ევროპისათვის უდიდესი პრობლემის მოგვარების ყველაზე დიდ ხელშემწყობად (ტაბალუა 1979: 76-88), რასაც კონკრეტული საფუძველი აქვს.

ერეკლეს მთელი ევროპა მოაიზრებს იმ პერსონად (და არა მეფედ, უკეთეს შემთხვევაში – პრინცად), რომელმაც წერტილოვანი დარტყმები უნდა მიაყენოს ოსმალეთის იმპერიას. ერეკლე მხოლოდ ამ კონტექსტში აინტერესებს ევროპას. ოსმალეთის იმპერია კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ევროპის მთავარ საფრთხედ იქცა და ეს პროცესი გაგრძელდა ოთხი საუკუნის განმავლობაში. ვენის ორგზის ალყას საკმაოდ მტკივნეულ პროცესები მოჰყვა. შესაბამისად, ევროპა კარგად აცნობიერებს, რა დიდი მნიშვნელოა აქვს ანტიოსმალურ კამპანიას. აქ უმწვავესი პოლიტიკური პროცესების ფონზე ცხადად წარმოჩინდება ერეკლეს, როგორც მამაცი მებრძოლის, როლი.

შესაბამისად, ერეკლეს წინაშე დგას ამოცანა, არა მარტო საკუთარი მეფობის სტატუსის აღიარებას მიადწიოს, არამედ მეფის სტატუსით შეძლოს ევროპელთათვის იმის ჩვენება, რომ არსებული პოლიტიკური სიტუაციისათვის, ანტიოსმალური წარმატებული კამპანიისთვის აუცილებელია ქართლ-კახეთის სამეფოს საფუძველზე ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს არსებობა, რაც ერთგვარი ლეგიტიმაცია იქნება ერთიანი კავკასიის სახელმწიფოებრივი ფორმირებისთვის.

ცალსახაა ისიც, რომ, თუკი ერეკლე ჩაერთვება ამ პროცესში როგორც სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფალი, რომლის გამლიერებასაც ბერძნული პროექტის ორივე ინიციატორის – რუსეთისა და ავსტრიის ინტერესებში იქნება, ამას შტაბური პროექტის წარმატება გარანტირებულია.

ბ) ქართლ-კახეთის სამეფო, როგორც მცირე პოლიტიკური ერთეული, ასევე მრავალკონფესიური და მრავალეროვანი კავკასია, მრავალრიცხოვანი სამეფო-სამთავროები წინასწარ გამზადებული სივრცეა წარმატებული დაპყრობითი პოლიტიკისთვის.

ის, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, კერძოდ, შვიდწლიანი ომის შედეგად განვითარებული პროცესები, ერეკლეს აძლევს შანსს, ევროპის ქვეყნებს დაანახოს ქართლ-კახეთის საფუძველზე შექმნილი ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს აქტუალობა, ქმნის მოვლენათა განვითარების ვარიაციებს, რომლითაც შესაძლოა ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები მოგვარდეს.

დოკუმენტური მასალისა და პირველწყაროების საფუძველზე არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზით ჩვენ გვაქვს საშუალება კონკრეტული დასკვნები გამოვიტანოთ კავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეისადმი ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულების შესახებ.

პრუსია ბალანსის პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას. ფრიდრიხ მეორის, ევროპის რუხი კადრინალის, კულუარული პოლიტიკისთვის ოფიციალურად ქართლ-კახეთის სამეფოს საფუძველზე ერთიანი კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის წევრობა ცალსახად არასასურველი და მიუღებელი გახლდათ, რამდენადაც რუსეთის მიერ სრუტეების დაკავების შესაძლებლობა მხოლოდ მას შემდეგ ხდებოდა რეალური, როცა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარი კავკასიას დაიპყრობდა და თურქეთს გაუმეზობლდებოდა.

თუმცა არის საკითხის მეორე მხარე – დიპლომატიური მანიპულირების მოდელი, რაც განსხვავებულად წარმოაჩენს პრუსიის სამეფოს რეალურ გეგმებს. ამ ფონზე ბუნებრივად იბადება კითხვა – აწყობს კი ევროპას და უპირველესად ფრიდრიხ მეორეს რუსეთის ზესახელმწიფოებრიობა? პასუხი ცალსახაა – რა თქმა უნდა, არა. რამდენადაც ზესახელმწიფო რუსეთი ოსმალეთის დაპყრობის შემდეგ სამიზნედ ისევ ევროპას აირჩევს (Ragsdale 1988: 93-110) და მისი აგრესიაც ამ მიმართულებითაა მოსალოდნელი. შესაბამისად, პრუსიის მიერ რუსეთისათვის სასურველ მოდელად მიჩნეული ანტიოსმალური კამპანიის მეზარახტრეობა მხოლოდ მანიპულაციის ფორმატში უნდა განვიხილოთ.

მეორე მხრივ, ვფიქრობთ, პრუსიისათვის ერეკლე მეორის უსაფრთხო სახელმწიფოებრივი მოდელი – ერთიანი კავკასიური სახელმწიფო არ უნდა ყოფილიყო მისაღები, რამდენადაც ერთიანი კავკასიის ფორმატში არსებული სახელმწიფო თავად ხდებოდა საერთაშორისო სისტემის ანგარიშგასაწევი ძალა და სხვა დიდი სახელმწიფოებისათვის აღმოსავლური პოლიტიკის რეალური ხელშემშლელი.

რაც შეეხება რუსეთს, მისთვის არ არსებობს არანაირი არგუმენტი, რომლის საფუძველზეც კავკასიის დაპყრობის იდეას გაემიჯნება. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება ცალსახად მოიაზრებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებას და შემდეგ მის კონტროლს. ქართლ-კახეთის სამეფოს შიდაკავკასიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება კი არის ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნა, რასაც საფუძვლად უდევს დავით აღმაშენებლის დროინდელი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემური უსაფრთხოების მოდელი.

უდავო ფაქტია, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი ვერ აღსრულდება, ის ვერ ჩაიგდება ხელთ ბოსფორისა და

დარდანელის სრუტეებს, თუ არ დაიკავა კავკასია, ანუ, ის გეოგრაფიული სივრცე, რომელსაც ერეკლე ერთიან კავკასიურ სახელმწიფოდ მოიაზრებს.

არის მეორე შესაძლო ვარიანტი – საზღვაო გზა, თუმცა ამ გზას 1783 წლის აპრილამდე, ყირიმის დაპყრობამდე, არ ფლობს რუსეთი. არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად რუსეთის სამხედრო პოტენციალი და მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა და ტრადიციები, შესაბამისად, აშკარაა, საზღვაო გზაც რომ იყოს თავისუფალი, რუსეთი XVIII ს-ის 80-იან წლებში არაა საზღვაო სახელმწიფო და, შესაბამისად, ფანტასტიკის სფეროა შორეული სამხედრო-საზღვაო ოპერაციით კონსტანტინოპოლის დაპყრობა. რუსეთი სახმელეთო სახელმწიფოა და მის მიერ დაპყრობილი ყველა ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება მას. ვფიქრობთ, როცა რუსეთის ხელისუფალნი საუბრობენ კონსტანტინოპოლის დაპყრობაზე, აქ კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ საზღვაო მიმართულება და ცალსახად მხოლოდ სახმელეთო ვარიანტი უნდა განვიხილოთ. ოსმალეთის დაპყრობის სახმელეთო ვარიანტი კი რუსეთისათვის არის ის კონკრეტული სამხედრო ოპერაცია, რომელიც, გეოგრაფიული რეალობიდან გამომდინარე, კავკასიის დაპყრობის გარეშე ვერ განხორციელდება. შესაბამისად, ამ პრიზმიდან საკმაოდ ირონიული ჩანს როგორც რუსეთის, როგორც მოკავშირის სტატუსი, ისე ამ სტატუსის შეფუთვა ერთმორწმუნეობის იდეით.

კავკასიაში სახელმწიფოს როგორც ფაქტის არსებობის მიმართ უარყოფითი პოზიცია აქვს საფრანგეთსაც, რაც კარგად ჩანს ფინკენშტეინის ზავით. 1807 წელს, როცა განსაკუთრებულად დაიძაბა ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, როცა ნაპოლეონი ინგლისზე შეტევას ინდოეთში აპირებს, ბუნებრივია, გრძნობს, რომ სამხედრო კამპანიის გასაიოლებლად აღმოსავლელი მოკავშირეა საჭირო, მით უფრო, რომ ინგლისის აღმოსავლური პოლიტიკის დასაყრდენი რუსეთია.

შესაბამისად, ინდოეთში ლაშქრობის წინ საფრანგეთი ირანთან ცდილობს დაახლოებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 1807 წლის 4 მაისს საფრანგეთსა და სპარსეთს შორის აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქ ფინკენშტეინში დადებული ხელშეკრულება, რომელსაც ოდიოზური პოლიტიკური მოღვაწე ტალეირანი აწერს ხელს.

საცნაური კი ისაა, რომ სპარსეთის გულის მოგებას ნაპოლეონი მისთვის რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს დაბრუნების დეკლარირებით ცდილობს. 16-პუნქტიან ხელშეკრულების მესამე და მეოთხე პუნქტი სწორედ ამ საკითხის მოგვარებას ეხება:

„მუხლი 3. მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორი იტალიის მეფე საქართველოს მისი უდიდებულესობა სპარსეთის იმპერატორის კანონიერ კუთვნილებად ცნობს“ (Gardane 1865: 73).

„მუხლი 4. იგი [ნაპოლეონი] იღებს ვალდებულებას, ყოველი ღონე იხმაროს, რათა აიძულოს რუსეთი დატოვოს საქართველოსა და სპარსეთის ტერიტორიები და ამას სამშვიდობო ხელშეკრულებით მიაღწიოს. ეს ევაკუაცია მისი პოლიტიკისა და ყურადღების მუდმივი საგანი იქნება“ (Gardane 1865: 73).

საგულისხმოა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სპეციალური საქმე, რომელიც ამ ხელშეკრულების დეტალებს მიმოიხილავს. ამ საქმეშია 1839 წლის ჩანაწერი –

ფრანგი ისტორიკოსის ლეფვერ დე ბეკურის შეფასება, რომლითაც დადასტურებულია, რომ ფინკენშტეინის შეთანხმების მთავარი პუნქტები იყო საქართველოსთან დაკავშირებული მესამე და მეოთხე პუნქტი, დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი გახლდათ (ნაჭყებია 2012: 191).

ტალეირანის ოფიციალური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ფაქტობრივად იმეორებდა ევროპის დიდი სახელმწიფოების პოზიციას, რაც ავსტრიასთან ერთად სწორედ რუსეთს შეეძლო დაემლია და ევროპის გადანაწილების ის საიდუმლო გეგმა – ბერძნული პროექტი რეალობად ექცია.

ერთადერთი სახელმწიფო ევროპაში, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს მოკავშირეა და აწყობს ერთიანი კავკასიის სახელმწიფოებრივი იდეის რეალიზებას, ავსტრიის იმპერიაა. ბერძნულ პროექტში საქართველოს ფაქტორის ჩართვის მცდელობამ, თავის მხრივ, ვენის საიმპერატორო კარისთვის სხვა პერსპექტივა დასახა. გამომდინარე იქიდან, რომ ვენა, თბილისი და სანკტ-პეტერბურგი ქრისტიანული გლობალიზაციის თვალსაზრისით შეადგენს საკმაოდ საინტერესო გეოგრაფიულ არეს, რაც მეტ-ნაკლებად ემთხვევა რომის იმპერიის ფარგლებს, თბილისსა და ვენაში კარგად ხედავენ, რომ ეს ის შანსია, რომლითაც თავდაცვისათვის შექმნილი კავშირი სხვა უფრო გრანდიოზული შესაძლებლობებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული. ეს შესაძლებლობები ორივე ქვეყნისთვის პრაქტიკული გზაა თვისებრივად სხვა პოლიტიკურ რეალობაში გარდასახვისათვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ერეკლე მეორის გადაწყვეტილება, ორი ელჩობა გააგზავნოს ვენაში, ავსტრიის იმპერატორთან, ჯერ – 1781 წელს, შემდეგ კი – 1782 წელს. ეს რუსეთისთვის მიუღებელი დიპლომატიური აქტივობაა, რაც ორივე მცდელობისას მთავრდება ქართლ-კახეთის მეფის მიერ გაგზავნილი კაპუცინელი ელჩების მკვლელობებით.⁴ მიუხედავად ამისა, წერილებმა მაინც ჩააღწია ვენაში, რომელთაც განსაკუთრებული გულმოდგინებით წელიწად-ნახევრის განმავლობაში სწავლობს მსოფლიო რანგის დიპლომატი, შვიდწლიანი ომის შემდგომი დიპლომატიური რევოლუციის ავტორი ვენცელ კაუნცი, რომლისთვისაც ქრისტიანული გლობალიზაციის ქართულ-ავსტრიული მოდელი ახალი, უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, მით უფრო, რომ ერეკლე ბერძნულ პროექტთან ერთად ავსტრიის იმპერატორს სთავაზობს „სპარსული პროექტის“ განხილვის იდეასაც, რაც ევროპის გადანაწილების რუსულ-ავსტრიულ მოდელს სრულფასოვან სახეს სძენს ევროპის უსაფრთხოების პრევენციის მიზნით.

ქართული მხარის ინიციატივაა შეუქცევად პროცესად აქციოს დასახული მიზანი და ჩაერთოს სრულფასოვან მოთამაშედ ბერძნულ პროექტში, ამასთან, შეიტანოს ევროპის გადანაწილების გეგმაში გარკვეული კორექტივები. ბაგრატიონთა ეს პოზიცია ვენის საიმპერატორო კარისთვის ქმნის იმის წინაპირობას, რომ ეს კონკრეტული წინადადებები განხილულ

⁴ აღნიშნულ საკითხს დაწვრილებით ვიხილავთ შემდეგ სტატიებში: 1. Русская драматургия убийств европейских послов Ираклия II. Научный журнал № 4(59), Москва, 2021.с29-41; 2. Unknown anatomy of Georgian diplomatic assassinations. Scientific Collection «InterConf», (42): 1st International Scientific and Practical Conference «Theory and Practice of Science: Key Aspects» (February 19-20, 2021) at Rome, Italy. pp. 623-645

იყოს ერთიანი ქრისტიანული გლობალური სივრცის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.⁵

ამრიგად, ავსტრიისათვის ბერძნულ-სპარსული პროექტების ერთობლიობა წარმოჩინდება არა მხოლოდ ოსმალეთის აგრესიისგან დაცვის თვალსაზრისით საინტერესო მოდელად – აქ უფრო სხვა, გრანდიოზული მასშტაბები იკვეთება.

სწორედ ევროპის ამგვარი გადაწყობა ახალი გამოწვევა ავსტრიელი დიპლომატის ვენცელ კაუნიცისთვის, რომელმაც მანამდე უკვე შეძლო საუკუნეების განმავლობაში მძაფრად დაპირისპირებული სახელმწიფოების – ავსტრიისა და საფრანგეთის დაახლოება (Ивонин 2007: 28-38).

აქ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, რომ ავსტრიის იმპერატორები არიან ამავდროულად საღვთო რომის იმპერატორებიც. თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ XVIII ს-ში საღვთო რომის საღვთო იმპერატორის ტიტული სიმბოლური გახდა და ფაქტობრივად უფუნქციო დანამატად იქცა. სწორედ ეს უფუნქციო დანამატი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი რეზერვია ვენის საიმპერატორო კარისთვის საგარეო პოლიტიკური, ამბიციური მიზნების განხორციელების თვალსაზრისით.

ამკარაა, რომ ავსტრიის იმპერია მხოლოდ სამხედრო ძალით ვერ გადაჭრის იმ პრობლემებს, რასაც პრუსია უქმნის, ამიტომაც მან სხვა კოზირი უნდა გამოიყენოს. ერთიანი გლობალური ქრისტიანული სივრცის შექმნა მას თეორიულ საფუძველს უქმნის იმისათვის, რომ არა მარტო პრუსია, საფრანგეთიც თავის გავლენის სფეროში მოაქციოს.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ავსტრიის იმპერატორ იოზეფ მეორისათვის ერეკლე მეორის წინადადებების გათვალისწინება საკმაოდ მომგებიანია რამდენიმე გარემოების გამო:

1. ერთიანი ქრისტიანული გლობალური მოდელის ამოქმედება ავსტრიის სასარგებლოდ წყვეტს შიდაგერმანულ დაპირისპირებებს. ავსტრიის იმპერიას უხდება მუდმივი ბრძოლა პრუსიის სამეფოს წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს პირველობის მოპოვებას გერმანულ სივრცეში. ეს ბრძოლა ეხება არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ზეპოლიტიკურ ინტერესებს, რაც ითვალისწინებს საღვთო რომის იმპერიაში, რომელიც ლოკალიზებულია გერმანული არეალში, ნომინალური პირველობა რეალურ პირველობად აქციოს.

2. საღვთო რომის იმპერიის გაძლიერება რეალურ საშუალებას ქმნის ავსტრიისათვის რუსეთთან პოლიტიკურ კავშირს უფრო მასშტაბური, გლობალურიფორმადაშინაარსიშესძინოს. ერთიმხრივ, რუსეთის იმპერიის, როგორც მართლმადიდებლური სამყაროს გავლენიანი წარმომადგენლის,

⁵ აღნიშნულ საკითხს დაწვრილებით ვიხილავთ შემდეგ სტატიებში: 1. გეორგიევსკის ტრაქტატის ქართულ-ავსტრიული უცნობი პრელუდიები, სამეცნიერო შრომების კრებული, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი №1 (33) თბ., 2020, გვ. 31-43; 2. Russian Empire and Georgian-Austrian Diplomatic Relations in the 80s of the XVIII century. «Humanities and Social Sciences in Europe: Achievements and Perspectives». Proceedings of the 7th International symposium (January 25, 2020). Premier Publishing s.r.o. Vienna. 2021. pp 12-26; 3. Georgian-Austrian political variations of the 80-ies of the XVIII century. Scientific Collection «InterConf», (50): with the Proceedings of the 8th International Scientific and Practical Conference «Scientific Horizon in The Context of Social Crises» (April 11-12, 2021). Tokyo, Japan: Otsuki Press, 2021. p 351-363

ამავდროულად მესამე რომის და, მეორე მხრივ, ავსტრიის იმპერიის, იგივე საღვთო რომის იმპერიის, პოლიტიკური კავშირი გარდაისახოს უფრო მასშტაბურ ერთიან ქრისტიანულ გლობალურ სივრცედ, რაც რეალურად რომის იმპერიის საზღვრების აღდგენაა. ეს ფაქტობრივად ევროპის ყველა დროის ყველა იმპერიის საარაკო ოცნება გახლდათ.

3. ერთი მხრივ, საღვთო რომის იმპერიისა და, მეორე მხრივ, მართლმადიდებლური ევროპის, იგივე მესამე რომის, პოლიტიკური ურთიერთობები და თანხვედრი პოლიტიკური ინტერესები ქმნის ერთიანი ქრისტიანული გლობალური სივრცის შექმნის შესაძლებლობებს.

ამ კონტექსტიდან ცხადად იკვეთება ისიც, რომ რომის რეინკარნაცია – ერთიანი გლობალური ქრისტიანული სივრცე, როგორც თავდაცვის სისტემური მოდელი, ოსმალური აგრესიის გასანეიტრალებლად უფრო ეფექტური პრევენციის საშუალებაა, ვიდრე რუსეთ-ავსტრიის პოლიტიკური კავშირი.

რაც შეეხება საქართველოს, ქრისტიანული გლობალიზაციის პროექტის რეალურად განხორციელების შემთხვევაში ხდება საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის წვერი და სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ქმნის მართვის იმ მოდელს, რომელსაც შეეძლო გაენეიტრალებინა საუკუნეების განმავლობაში პერმანენტულად შექმნილი ის იმპერიული სტრუქტურული მექანიზმები, რომელიც ხელს უშლიდა ერთიანი კავკასიური, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს.

ერეკლეს სურს ევროპა დაარწმუნოს, რომ ოსმალეთის იმპერიის პრობლემა, რომელიც სათავეს იღებს 1453 წლიდან და თავსატეხად ექცა მსოფლიოს შემდგომი ოთხი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, ვერ გადაიჭრება ერთიანი კავკასიური პოლიტიკური სივრცის მხრიდან მხარდაჭერის გარეშე.

დასკვნა

ამრიგად, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო ისტორიული პროცესის, ევროპის პოლიტიკური მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს არსებობის მოტივაცია მხოლოდ ავსტრიის იმპერიას გააჩნია, რომელსაც რომის საღვთო იმპერიის სტატუსით სურს ხელშეკრულების დადება ერეკლე მეორესთან და ამით რომის ტრადიციული საზღვრების აღდგენა, რაც მას მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს პრუსიასა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას.

რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სხვა წევრებს, დიდ სახელმწიფოებს, ისინი ცალსახად უარყოფითად უდგებიან კავკასიის სივრცეში ძლიერი სახელმწიფოს არსებობის საკითხს, რამდენადაც:

1. რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაკავება პრაქტიკულად გამორიცხავს რუსეთისა და საქართველოს მოკავშირეობას, რამდენადაც კავკასია მისთვის რჩებოდა იმ გეოგრაფიულ სივრცედ, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დაეპყრო.

2. საფრანგეთისა და ბრიტანეთის აღმოსავლურ პოლიტიკას და ირანთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობას არ სჭირდება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ახალი წევრი, რომელიც მათ ვაჭრობაში გაუწევს კონკურენციას.

3. პრუსიას, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა „ბერძნული პროექტი“, რომელიც გარდა ოსმალეთის განეიტრალების საკითხისა, რუსეთის ევროპიდან მოშორების პროექტიც გახლდათ, არ აწყობდა ძლიერი სახელმწიფო კავკასიაში, რომელიც უპირობოდ მოუგებს რუსეთს და ხელს ააღებინებს კონსტანტინოპოლის დაპყრობის იდეაზე. მოვლენათა ასეთი განვითარებისას არ იყო გამორიცხული რუსული აგრესია ისევ ევროპისაკენ მიმართულიყო, რითაც პრუსიისათვის სასიცოცხლო გეგმის განხორციელებას დამატებითი ბარიერი ექმნებოდა.

4. ოსმალეთი და ირანი 1555 წელს მიღებული ამასიის სისტემის დამცველნი იყვნენ, რომლითაც კავკასია ერთმანეთში ჰქონდათ გადანაწილებული და, ბუნებრივია, ვერ ელეოდნენ კავკასიის მფლობელის სტატუსს.

ევროპის სახელმწიფოების მხრიდან კავკასიისადმი ამგვარი დამოკიდებულებით ხელიდან იქნა გაშვებული ის შანსი, რომელიც საშუალებას იძლეოდა სწორედ ერეკლეს დახმარებით მოგვარებულიყო იმდროინდელი ევროპისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხი – ოსმალეთის პრობლემა, რომელიც მომდევნო საუკუნე-ნახევრის მანძილზე, 1922 წლამდე, კვლავ დარჩა მსოფლიო პოლიტიკისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავსატეხად.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დუმბაძე 1973: დუმბაძე მ., ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის XVIII ს-ის 40-80-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 8 ტომად, ტ. 4, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973. გვ. 600-693,

თაბუაშვილი 2010: თაბუაშვილი ა., ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბილისი, 2010.

თაბუაშვილი 2020: თაბუაშვილი ა., ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბილისი, 2020.

კალანდია 2017: მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში (Prince Heraclius in the British and Irish press). ცნობები შეაგროვა, შესავალი და კომენტარები დაურთო გ. კალანდიამ. თბილისი, 2017.

კალანდია 2020(ა): ბრიტანული წყაროები საქართველოს შესახებ (British sources about Georgia), ნაწილი 1. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გ. კალანდიამ. თბილისი, 2020.

კალანდია 2020(ბ): ბრიტანული წყაროები საქართველოს შესახებ (British sources about Georgia), ნაწილი 2. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გ. კალანდიამ. თბილისი, 2020.

მაისურაძე 1992: მაისურაძე გ., ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. თბილისი, 1982.

მაჭარაძე 1968: მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი 2, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში. თბილისი, 1968.

ნაცვალაძე 1984: ნაცვალაძე მ., რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთში მოგზაურობის რამდენიმე საკითხისათვის. ახალგაზრდა მეცნიერ-

ისტორიკოსთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. 1982 წლის 24-25 ივნისი. თბილისი, 1984. გვ. 239-243.

ნაჭყებია 2012: ნაჭყებია ი., ლეიტენანტი ტრეზელის რამდენიმე ცნობა საქართველოს შესახებ (1809). ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XIII-XIV. თბილისი, 2012. გვ. 186-195.

რეხვიაშვილი 1982: რეხვიაშვილი მ., იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები). თბილისი, 1982.

შველიძე 2005: შველიძე დ., ევროპული ცნობები ირაკლი II-ის შესახებ (სანკტ-პეტერბურგის გაზეთის მასალებზე დაყრდნობით). თბილისი, 2005.

შველიძე 2014: შველიძე დ., რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა და დაპყრობა, თბილისი, 2014.

ტაბალუა 1979: ტაბალუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, 1979.

ტაბალუა 2000: ტაბალუა ი., ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. თბილისი, 2000.

Arneth 1869: Joseph II und Katharina von Russland. Ihr Briefwechsel, hrsg. von Alfred, Ritter von Arneth, Wien, 1869.

Gardane 1865: Mission Du Général Gardane En Perse Sous Le Premier Empire. Documents Historiques Publiés Par Son Fils, Le Comte Alfred E Gardane. Librairie de AD. LAINE, Paris, 1865

Ragsdale 1988: Ragsdale H., Evaluating the traditions of Russian aggression: Catherine II and the Greek Project, Slavonic and East European Review. L., 1988. Vol. 66, N1; pp. 91-117.

Гриффитс 2013: Гриффитс Д., Был ли у Екатерины II «греческий проект»?; Екатерина II и ее мир. Статьи разных лет Пер. с англ. Е. Леменовой и А. Митрофанова. Москва, Новое литературное обозрение, 2013.

Зорин 2001: Зорин А., Кормя двуглавого орла. Русская литература и государственная идеология в последней трети XVIII первой трети XIX века. Москва, Новое литературное обозрение, 2001.

Ивонин 2007: Ивонин Ю.Е., Венцель Антон Кауниц. Вопросы истории. 2007, №4. с. 27-50.

Ливен 2012: Ливен Д., Россия и европейские великие державы: семилетняя война в глобальном контексте. Величие и язвы Российской империи. Международный научный сборник в честь 50-летия О.Р. Айрапетова. Регнум Москва, 2012, с.17-34.

Маркова 1986: Маркова О.П., О происхождении так называемого греческого проекта (80-е годы XVIII в.). Проблемы методологии и источниковедения внешней политики России. Москва, 1986. с. 5-46.

Пайчадзе 1965: Пайчадзе Г., Русско-грузинские отношения в 1725-1735 годах. Тбилиси, 1965.

Русский архив 1880: Переписка Екатерины Великой с Германским Императором Иосифом II-м 1774-1790 Русский архив. Кн. 1. Москва, 1880. с. 210-335.

Русская старина 1892: Собственноручная записка императрицы Екатерины о греческом проекте. Русская старина. 1892. Т. 76, №10, с. 1-4.

Стегний 2002: Стегний П.В., Еще раз о греческом проекте Екатерины II. Новые документы из АВПРИ МИД России. Новая и новейшая история, №4, 2002. с. 100-118.